20.04.2018

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2018 წლის მარტი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 2,5 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ფასების 2,4 პროცენტიანი კლება დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე და 3,0 პროცენტიანი კლება სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 8,6 პროცენტით. ფასები გაზრდილია როგორც დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე (7,7 პროცენტი), ისე სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე (15,3 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის მარტში ექსპორტის ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის მარტთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**108.6**	**8.58**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**115.3**	**1.38**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**107.7**	**7.20**
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	110.9	1.23
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	116.1	6.27

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

ექსპორტის ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge